

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი



მოწვევა სატენდერო წინადადების წარდგენაზე

საქართველო

ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების გზის რეაბილიტაცია

კონტრაქტის/ტენდერის # EIB/MIMP/W/NCB/29-2016

საქართველომ მიიღო ევროპის საინვესტიციო ბანკისაგან (EIB) დაფინანსება ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტის (URDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდებისათვის: **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების გზის რეაბილიტაცია.**

პროექტი ითვალისწინებს ბუკისციხე-ზემო სურების ადგილობრივი გზის რეაბილიტაციას სიგრძით 16,640.00 მ. ქვიშა-ხრემისა და ღორღის საფარის მოწყობით, გზის სიგანე 6 მ. ეზოში შესასვლელების, მიერთებების, ხიდების რეაბილიტაციას, წყალამრიდი მილების და აკვედუკის მოწყობას.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოების მოცულობები:

1. ფრაქციული ღორღი 10,948.00 კბ.მ;
2. ქვიშა-ხრემოვანი ნარევი 12,521.00 კბ.მ;
3. ლითონის მილები საერთო სიგრძით 495 გრმ.მ;
4. ბეტონის თვალამრიდი 477 გრმ.მ;
5. მონოლითური რკ/ბეტონი 994 კბ.მ;
6. გაბიონი 1,511.00 კბ.მ;
7. პლასტმასის ბოძკინტები 1,600.00 ც.

სამუშაოების ხანგრძლივობაა **365 (სამას სამოცდახუთი) დღე** სამუშაოების დაწყებიდან.

საკვალიფიკაციო მოთხოვნათა შორის არის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

ა) კონკურსანტის სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური ბრუნვა დაანგარიშებული მიმდინარე ან დასრულებული კონტრაქტების ერთობლივი დადასტურებული გადახდებიდან, ბოლო ორი (2) წლის (2014, 2015წწ.) განმავლობაში უნდა იყოს არანაკლებ **4,760,000.00** ლარის ექვივალენტი;

ბ) კონკურსანტის წლიური შესაძლებლობა უნდა იყოს არანაკლებ **3,173,000.00** ლარის ექვივალენტის ოდენობით;

გ) კონკურსანტმა უნდა დაადასტუროს ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა არანაკლებ **740,000.00** ლარის ექვივალენტზე;

დ) კონკურსანტს, 2011 წლის 1 იანვრიდან განაცხადის წარდგენის ბოლო თარიღამდე, წარმატებულად უნდა ჰქონდეს დასრულებული სულ მცირე ერთი (1) **საავტომობილო გზების მშენებლობა/რეკონსტრუქცია/რეაბილიტაციის კონტრაქტი**, არანაკლებ **2,540,000.00** ლარის ექვივალენტის ღირებულებით ან ორ კონტრაქტში, რომელთაგან თითოეულის ღირებულებაა სულ მცირე **1,270,000.00** ლარის ექვივალენტი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ და კვალიფიცირებულ კონკურსის მონაწილეებს განახორციელონ **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხე-ზემო სურების გზის რეაბილიტაცია**.

ტენდერი ტარდება „ეროვნული საკონკურსო ვაჭრობის“ (National Competitive Bidding) პროცედურების შესაბამისად ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით. აღნიშნული სახელმძღვანელოს 3.4.1 პუნქტის შესაბამისად და დონორის გადაწყვეტილებით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვისათვის გამოყენებული იქნება მსოფლიო ბანკის სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაცია და მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურები ეროვნული საკონკურსო ვაჭრობისათვის.

საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების საგარანტიო დეკლარაცია ვადით: 1 (ერთი) წელი სატენდერო წინადადებების გახსნის დღიდან.